გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება № 84

ქ. ბათუმი 30 დეკემბერი 2013 წელი

ერთის მხრივ შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯემალ დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „World print" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბენიამინ ჯაველიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს' ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6. „სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნების, საბუღალტრო წიგნების, ფორმების და სხვა ნაბეჭდი მასალის მიწოდება;
2.2. CPV კოდი: 22800000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2200 (ორიათასორასი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3. საქონლის დასახელება და რაოდენობა მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით;
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებდან 10 დღის ვადაში ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის მომენტიდან.

6. საქონლის მიწოდების ადგილი, ვადა და ფორმა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ბათუმი, ქათამაძის 11;
6.2. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს 2013 წლის 31 დეკემბრამდე;

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების შესაბამისად;
გ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება, აღმოფხვრას ნაკლი დაუყოვნებლივ;

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %;
- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ის ოდენობით;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება. შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ასევე ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში მიმწოდებელი არ აღმოფხვრის მომსახურების ხარვეზს.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

შემსყიდველი

სსპ „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“
ი/მის: ქ.ბათუმი, ქათამაძის ქ. 11
ს/კ 245418392
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE70 TB778703602010001
ტელ: 253615, 253088.

დირექტორი /ჯემალ დუმბაძე/

მიმწოდებელი

შპს „World print“
ი/მ : ქ. ბათუმი, მ.აბაშიძის 35,
ს/კ 445423943
საბანკო რეკვიზიტები:
სს პროკრედიტ ბანკი
ა/ნ GE58PC0033600100049096
ბანკის კოდი: MIBGGE22

დირექტორი /ჟუჟუნა ჯაფარიძე/